

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლა

ია ეგნატიევი

მარტივი ჰერპესის ვირუსით გამოწვეული პირის ღრუს ლორწოვანის დაზიანებები

აივ/შიდსით ავადმყოფებში

ანოტაცია

მარტივი ჰერპესის ვირუსებით გამოწვეული ოროლაბიალური დაზიანებები შეიძლება განვითარდეს ნებისმიერ ასაკში, გამოვლინდეს როგორც ქალებში, ასევე მამაკაცებში, განვითარდეს როგორც იმუნოკომპრომეტირებულ, ასევე იმუნოკომპეტენტურ პირებში, მაგრამ დაავადების განვითარების სიხშირე, მიმდინარეობის სიმძიმე და გართულებების სიხშირე დიდად არის დამოკიდებული ორგანიზმის იმუნოლოგიურ მარცვლებზე;

აივ/შიდსით ავადმყოფებში მარტივი ჰერპესის ვირუსით გამოწვეული დაზიანებების სიმძიმე, რეციდივების სიხშირე, გართულებები და ხანგრძლივობა მით მეტია, რაც უფრო დაბალია CD4 ლიმფოციტების აბსოლუტური რიცხვი;

ღრმა იმუნოსუპრესიის დროს CD4 ლიმფოციტების აბსოლუტური რიცხვი <100 მმ³- სახეზეა პირის ღრუს კომბინირებული დაზიანებები;

პერსისტული ჰერპესული ინფექცია აივ/შიდსის პროგრესირების პრედიქტორია, ხოლო ანტირეტროვირუსულ თერაპიაზე მყოფ პირში კორელირებს თერაპიისადმი სუბოპტიმალურ დამყოლობასთან, აივ ვირუსული დატვირთვის მატებასთან, აივ რეზისტენტობის განვითარების რისკთან;

პირის ღრუს გამოვლინებები არა მარტო მნიშვნელოვანი ინდიკატორული დაავადებებია აივ ინფექციის დროს არამედ მნიშვნელოვანია, იმ კუთხითაც, რომ უკვე რეგისტრირებულ აივ დადებით პაციენტებს, რომლებიც მიეკუთვნებიან I ჯგუფს და არიან 25 წელზე მეტი ასაკის, მაღალი ალბათობაა, რომ განუვითარდეთ პირის ღრუს ლორწოვანის სხვადასხვა სახის დაზიანებები, რაც უნდა გაითვალისწინონ ექიმ-ინფექციონისტებმა და ამ ჯგუფის პაციენტებს ჩაუტარდეთ პირის ღრუს მანიფესტაციების სკრინინგი მათი დროული დაიგნოსტიკის და მკურნალობის მიზნით;

პერსისტული ჰერპესული წყლულები – კლინიკურად გამოვლენილი და ლაბორატორიულად დადასტურებული – წარმოადგენს აივ/შიდსზე ტესტირების ჩვენებას ნებისმიერ მოზრდილ პირში;

აივ/შიდსით ავადმყოფებში აუცილებელია I და II ტიპის მარტივი ჰერპესის სეროპრევალენტობის შესწავლა და სერონეგატიური ავადმყოფების განათლება დაავადების პრევენციის კუთხით;

მარტივ ჰერპესზე სეროპოზიტიურ აივ/შიდსით ავადმყოფებში რეაქტივაცია გამოვლინდება პირის ღრუს წყლულოვანი დაზიანებებით და წარმოადგენს ხშირი ავადობის მიზეზს. ანტივირუსული პრეპარატების გამოყენება (აციკლოვირი, ვალაციკლოვირი) მნიშვნელოვანია არა მარტო დაავადების სამკურნალოდ, არამედ, საზოგადოებრივი ჯანდაცვის კუთხით, ვირუსის გავრცელების შემცირების თვალსაზრისით;

აივ ასოცირებული პირის ღრუს სხვადასხვა სახის დაზიანებები ვითარდება შიდსით დაავადებული პაციენტების უმრავლესობაში და ხშირად რჩება დიაგნოზდაუსმელი ან ინიშნება არაადეკვატური მკურნალობა. ამიტომ, აუცილებელია აივ/შიდსთან ასოცირებული პირის ღრუს დაზიანებების არსებობის დროს ჩატარდეს სტომატოლოგიური ექსპერტიზა, რათა ავადმყოფთა უმრავლესობამ მიიღოს ადეკვატური სტომატოლოგიური მომსახურება.